



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49220848

თარიღი:25/03/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 36

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის III - IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის III -IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ანგარიში 2021 წლის III -IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის III -IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის III და IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს . ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარი, რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში, ასევე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 65 განკარგულებით 2007 წლის 24 ივლისს დაფუძნდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“ .

2015 წლის 22 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის N 31 267 ბრძანების საფუძველზე მოხდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების რეორგანიზაცია. შევიდა რიგი ცვლილებები და ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებად.“ 2007 წელს ფუნქციონირებდა 4 საბავშვო ბაღი, ამჟამად ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი: ქალაქის N 1, N 2, N 3, N 4 , აგრეთვე სოფ. გვიშტიბის, მადლაკის, ფარცხანაყანევის, კოპიტნარის დასახლების, მესხეთის, მუხიანის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ახალი საყულიის, გუმბრის, ოფურჩხეთის, რიონის, ცხუნკურის, ქვიტირის, თერნალის საბავშვო ბაღები 1700 აღსაზრდელით.

ამ საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღების გახსნა მოხდა ეტაპობრივად , აღზრდა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ხდება 61 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში.

2021 წლის 17 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის N ბ 48 48212705 ბრძანებით გაერთიანებას უსასყიდლო - უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადმოეცა ახლად აშენებული საბავშვო ბაღი, რომელიც ფუნქციონირებას დაიწეხს 2022 წლიდან.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, რის საფუძველზეც საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმა დაიწყო. კანონის მიზანია საქართველოში ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურეობა იყოს ხელმისაწვდომი და თანასწორი, ხარისხი გაუმჯობესებული.

რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულომ და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ“ სისტემის სწრაფი განვითარებისთვის კანონის შესაბამისი სტანდარტების აღსრულება იმთავითვე დაიწყო.

კანონის შესაბამისად ხდება სკოლამდელ აღზრდისა და განათლების პრინციპების დაცვა:

ბავშვთა უფასო აღზრდა, განათლება და კვება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ნებაყოფლობითა და ხელმისაწვდომია შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისათვის. დაინერგა სასკოლო მზაობის პროგრამა.

ეტაპობრივად ხდება სკოლამდელი აღზრდის სისტემასთან დაკავშირებული დამტკიცებული ეროვნული სტანდარტების აღსრულება, როგორცაა: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი, ინფრასტრუქტურის სტანდარტი, კვების სტანდარტი, წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის სტანდარტი, აღმზრდელის პროფესიული სტანდარტი.

ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით დაცულია ყველა შესაბამისი წესი:

სახანძრო უსაფრთხოების, კვების, წყლის, სანიტარიის, ჰიგიენისა და ინფრასტრუქტურის კუთხით.

ახალმა კორონავირუსმა (SARS-COV 2) მთლიანად შეცვალა ცხოვრების წესი როგორც მსოფლიოში ისე ჩვენს ქვეყანაში.

2020 29 მაისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით გამოსცა რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის. ამ რეკომენდაციების შესრულების მიზნით გაერთიანების მიერ შემუშავდა პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულ ბრძანებაში 2021 წლის 1 ოქტომბერს შევიდა ცვლილებები, რომელიც მყისიერად გათვალისწინებული იქნა გაერთიანების საქმიანობაში.

2021 წლის III-IV კვარტალში გაერთიანებაში ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები: ლოჯისტიკის სამსახურის მიერ საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდა საბავშვო ბაღებში დაზიანებული სანტექნიკის და ელექტრო გაყვანილობის შეცვლა. ადმინისტრაციული სამსახურის კუთხით მომზადდა საჭირო სამართლებრივი დოკუმენტები, ასევე დროულად ხდებოდა შემოსული და გასული კორესპოდენციის მიღება-გაგზავნა. მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია გაერთიანების თანამშრომლებზე შრომითი ხელშეკრულებით გაგრძელებასთან დაკავშირებით.

სასწავლო სააღმზრდელო პროცესი გაერთიანებაში განახლდა 5 ოქტომბრიდან.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოები.

აღნიშნული სამუშაოები შემდგომაც გაგრძელდა გეგმა -გრაფიკის მიხედვით.

2021 წლის III-IV კვარტალში რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა საშემოდგომო თემის პრეზენტაციები და საახალწლო კარნავალი ყველა საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღში.

აღსაზრდელებს დაურიგდათ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილი საახალწლო საჩუქრები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგების მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

ჩატარდა სოფ.ოფურჩხეთის N 18 საბავშვო ბაღის ახალი შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 173,340 ლარი.

შემენილ იქნა საოჯახო ტექნიკა - ღირებულება 111,13 ლარი.

სამზარეულო ინვენტარი - 13 990 ლარის

ქსოვილის ნივთები: ლეიბები, ბალიშები, საბნები, გადასაფარებლები - ღირებულება 8474 ლარი.

შემენილ იქნა ავეჯი - ღირებულება 36840 ლარი.

ზამთრის სეზონზე საბავშვო ბაღების გათბობისთვის შემენილ იქნა სამერქნე შეშა- ღირებულება 18525 ლარი.

გაერთიანება აგრძელებს ყოველდღიურ საქმიანობას რათა მომზადებული შევხვდეთ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებას.